

## კითხვარი თბილისის მერობის კანდიდატებისთვის

გთხოვთ, პასუხი გასცეთ ქვემოთ ჩამოთვლილ შეკითხვებს. თითოეული არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ, არ უპასუხოთ ზოგიერთ შეკითხვას, რომელზეც ჯერჯერობით არ გაქვთ გამოკვეთილი პოზიცია ან, თქვენივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი ცალკე პოლიტიკის გატარებას არ საჭიროებს.

### ზოგადი ხედვა / წინასაარჩევნო პროგრამის მოკლე შეჯამება

#### 1. როგორია თქვენი ხედვა ქალაქის განვითარების ძირითად პრიორიტეტებთან დაკავშირებით?

ჩვენი პრიორიტეტების ეფექტიანად განხორციელებით, აუცილებლად მივიღებთ თბილისის თითოეული მცხოვრების, თითოეული ოჯახისთვის უკეთეს და უფრო უზრუნველყოფილ - უსაფრთხო, კომფორტულ, ეკონომიკურად განვითარებულ გარემოს და ცხოვრების უკეთეს პირობებს! ჩვენი მიზანია:

1. ეკონომიკურად განვითარებული თბილისი!
2. ტრანსპორტითა და ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილი თბილისი!
3. ურბანულად განვითარებული და ხარისხიანი მუნიციპალური სერვისებით უზრუნველყოფილი თბილისი!
4. ეკოლოგიურად სუფთა და გამწვანებული თბილისი!
5. სოციალურად უზრუნველყოფილი თბილისი!
6. თბილისი კორუფციისა და ნეპოტიზმის გარეშე!

### განვითარება და ეკონომიკა

#### 2. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ თბილისის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების თქვენეული ხედვა/გეგმა (არსებობის შემთხვევაში).

ჩვენი მიზანია ეკონომიკურად განვითარებული თბილისი!

1. ეფექტიანი და კეთილსინდისიერი მმართველობით თითოეული ბიზნესის და მოქალაქისთვის თანაბარი პირობების შექმნა, ეკონომიკური ინიციატივის ხელშეწყობა/წახალისება;
2. მეტი ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორის მოზიდვა - საინვესტიციო შეთავაზებები ბიზნესს;
3. წლობით გაჩერებული პროექტების გადახედვა, რომელთაც აქვთ ეკონომიკური პოტენციალი და ამ პროექტებთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება თბილისის ეკონომიკის განვითარებისთვის.

#### 3. თქვენი აზრით, რა მთავარი პრობლემები უშლის ხელს დედაქალაქის ეკონომიკურ განვითარებას?

დღესდღეობით ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს არაეფექტიანი ბიუროკრატია და ბიზნესის “არახელშემწყობი” გარემო. გადაჭარბებული ბიუროკრატიული პროცედურები და “არათანაბარი” პირობები ხელს უშლის სამეწარმეო ინიციატივების რეალიზებას, ახალი პერსპექტიული პროექტების განხორციელებას, მეტი ინვესტიციების მოზიდვას.

**4. რა არის თბილისის ძირითადი შესაძლებლობები/უპირატესობები, რომელთა გამოყენებასაც შეეცდებით მისი ეკონომიკური და ურბანული განვითარების მისაღწევად?**

თბილისს აქვს პოტენციალი, შექმნას საკუთარი ეკონომიკა - მოქალაქეების დასაქმება უზრუნველყოს. თბილისის მთავარი უპირატესობა ქალაქში სამუშაო ძალის თავმოყრა და მსხვილი საინვესტიციო პროექტების განხორციელების შესაძლებლობაა. თბილისის ეკონომიკური პოტენციალის რეალიზებისთვის აუცილებელია, ქალაქს ჰქონდეს ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა და შესაბამისი ბიზნესგარემო.

ქალაქს სჭირდება სწორი ურბანული განვითარება, კომპლექსური განვითარება: მშენებლობებთან ერთად, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, შესაბამისი მუნიციპალური სერვისების მიწოდება. ურბანული განვითარების პარალელურად, მსხვილ ქალაქებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაფართოება/განვითარება. ამისათვის თბილისში განხორციელდება მეტროს გაფართოების პროექტი - დიდი დიდის, ლილოსა და აეროპორტის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით არსებულ ვითარებას. ასევე, ახლად დაკავშირებულ რაიონებში ეკონომიკურ აქტივობას და უძრავი ქონების ღირებულებას მნიშვნელოვნად გაზრდის. ჩვენ განვიხილავთ მეტროს განვითარების პროექტის დაფინანსებას მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების გამოშვებით და პროექტში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, ქართული დიასპორის ჩართულობით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თბილისში მეტი რეკრეაციული სივრცის შექმნა-განვითარება - სატრანსპორტო კორიდორის შენარჩუნებით და რეკრეაციული ფუნქციის უპირატესობით. ასევე, მდინარე მტკვრის გასწვრივ იდენტიფიცირებული საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტები და სხვა.

**5. როგორია თქვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები? გთხოვთ, მოკლედ განმარტოთ თქვენი საბიუჯეტო პოლიტიკა.**

საბიუჯეტო პოლიტიკის საკვანძო ელემენტი იქნება საბიუჯეტო რესურსების სამართლიანი განაწილება, რაც ნიშნავს პრიორიტეტების სწორად გადანაწილებას ქალაქის თითოეული უბნის თანაბარი განვითარებისა და უზრუნველყოფისათვის. მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია გამჭვირვალობა და საზოგადოების თანამონაწილეობის გაზრდა. ამ მიზნით დაინერგება “სახალხო ბიუჯეტის” კონცეფცია, რაც გულისხმობს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კანონით დადგენილი წილის განკარგვაში ფართო საზოგადოების ჯგუფების ჩართულობას - გადაწყვეტილების მიღებისა და პრიორიტეტული პროექტების განსაზღვრის პროცესში.

**6. რა ღონისძიებებს გაატარებთ თბილისის ბიზნეს და კომერციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და ინვესტიციების მოსაზიდად?**

ჩვენი მიზანია მეტი ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორის მოზიდვა - საინვესტიციო შეთავაზებები ბიზნესს. მოხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაცია და საინვესტიციო შეთავაზებებად შეკვრა; განხორციელდება საინვესტიციო პროექტები საპარკინგე ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა წლობით გაჩერებულ პროექტებს და მათი შემდგომი განხორციელების გადაწყვეტილებებს.

ურბანული განვითარება / ქალაქდაგეგმარება / ბინათმშენებლობა

**7. როგორ ფიქრობთ მოქალაქეთა საბინადრო პირობების გაუმჯობესებას?**

ურბანული პოლიტიკის კუთხით ჩვენი პრიორიტეტებია:

- სამშენებლო ნებართვების გაცემა ქალაქის სწორი ურბანული განვითარებისა და იერსახის შემდგომი დამახინჯებისგან თავის არიდების გათვალისწინებით, ბიზნესის ინტერესებისა და კერძო საკუთრების მკაცრი დაცვის პირობით; ქალაქგეგმარებითი სტანდარტების მკაცრად დაცვა, კორუფციის აღმოფხვრის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა, მეტი პრიორიტეტი სარეკრეაციო სივრცეებს;
- ავლაბრის, სოლოლაკისა და სხვა ისტორიული უბნების მასშტაბური რეაბილიტაცია-განახლება **კერძო სექტორის ჩართულობით**;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და სერვისების მიწოდების ტემპისა და ხარისხის მორგება ქალაქის ზრდის ტემპზე;
  - სწრაფად მზარდ რაიონებში (მაგ: დიდი დიღომი, თბილისის ზღვის ტერიტორია და სხვა) შესაბამისი სოციალური და კომუნალური ინფრასტრუქტურის მიწოდება - საჯარო სკოლები, ბაღები, საკმარისი მუნიციპალური ტრანსპორტი და ა.შ.
  - მუნიციპალური სერვისების მიწოდების ხარისხის ზრდა, როგორც შესაბამისი აღჭურვილობისა და ტექნიკის შექმნა/განახლების, ისე პერსონალის ფინანსური და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებით.
- კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებული მოსახლეობის სრულად უზრუნველყოფა;
- ქალაქის ურბანული იერსახის გაუმჯობესებისა და მოქალაქეების მხარდაჭერის მიზნით, თბილისში არსებული დაუმთავრებელი მშენებარე ობიექტის დასრულება, **კერძო სექტორის ჩართულობითა** და რიგ შემთხვევაში, სახელმწიფოსა და ბენეფიციართა შორის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმით.

**8. რა ღონისძიებებს გეგმავთ დედაქალაქში ქუჩების უკეთ დასუფთავებისთვის?**

ქალაქის ურბანული განვითარების პარალელურად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხარისხიანი მუნიციპალური სერვისების მიწოდება. დღეს თბილისი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მუნიციპალური სერვისების ხარისხი და მიწოდების ტემპი. საბიუჯეტო სახსრების განაწილებისას ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ მუნიციპალური სერვისების ხარისხის

გაუმჯობესება იქნება, რასაც მივაღწევთ როგორც შესაბამისი აღჭურვილობისა და ტექნიკის შექმნა/განახლებით, ისე პერსონალის უკეთესი ფინანსური და სოციალური უზრუნველყოფით.

### ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი

#### **9. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქალაქში ქვეითთა გადაადგილების მაქსიმალური უსაფრთხოებისა და კომფორტისთვის?**

ამისათვის საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა (მათ შორის, შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის) და ქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება. ეს უკანასკნელი ჩვენთვის პრიორიტეტულია და მასზე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ვიმუშავებთ. მათ შორის, ჭკვიანი კამერების ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით.

#### **10. როგორია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესების თქვენეული გეგმა?**

ჩვენი მიზანია ტრანსპორტითა და ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილი თბილისი!

1. თბილისის მეტროს შემდგომი განვითარება - დიდი დიდმის, ლილოსა და აეროპორტის მიმართულებით. ასევე, თბილისის და რუსთავის დაკავშირება მეტროს ხაზით, რაც:
  - მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით არსებულ ვითარებას;
  - მნიშვნელოვნად გაზრდის ახლად დაკავშირებულ რაიონებში ეკონომიკურ აქტივობას და უძრავი ქონების ღირებულებას.
2. მეტროს განვითარების პროექტის დაფინანსება მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების გამოშვებით;
3. არსებული მეტროსადგურების მასშტაბური განახლება; მეტროპოლიტენისთვის ახალი ვაგონების დამატება;
4. ავტობუსების პარკის ახალი, თანამედროვე სტანდარტების ტრანსპორტით ჩანაცვლების გაგრძელება;
5. მუნიციპალური ავტობუსების რაოდენობის, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდა და მუნიციპალური ავტობუსებით უფასო მგზავრობა - თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით არსებული ვითარების მოწესრიგებამდე;
6. ინფრასტრუქტურის კომპლექსური განახლება (გზა-წყალგაყვანილობა-დრენაჟი), რაც თავიდან აგვარიდებს ახლადშექმნილი ინფრასტრუქტურის დაზიანებას/მისი შეცვლის საჭიროებას და გაუმართაობას;
7. არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა და სრულად გამართვა - წლების განმავლობაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;
8. შესრულებულ სამუშაოებზე ხარისხის მკაცრი კონტროლი.

#### **11. რა ქმედით ნაბიჯებს გადადგამთ დედაქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის?**

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პოლიტიკა ჩვენთვის პრიორიტეტულია და ამ საკითხზე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ვიმუშავებთ. მათ შორის, ჭკვიანი კამერების ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით.

## 12. რა მექანიზმებით ფიქრობთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაადგილების ხელშეწყობას?

- შშმ პირების საზოგადოებაში ინკლუზიურად ჩართვის მიზნით შემუშავდება შშმ პირების ხელშეწყობის სტრატეგია, რომელიც, ერთი მხრივ, ორიენტირებული იქნება ამ პირთა ეკონომიკურ აქტივობაში სრულფასოვნად ჩასართველად, მეორე მხრივ, მათთვის თანამედროვე სოციალური მხარდაჭერის შექმნისთვის.
- დაინერგება შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული სერვისები და გაიმართება - უკვე არსებული. პირველ ეტაპზე მოხდება სკოლებისა და ბაღების ინფრასტრუქტურის ადაპტირება. ასევე, გადამზადების საფუძველზე, ხელი შეეწყობა შშმ პირებისთვის ადაპტირებული სამუშაო ადგილების შექმნას.

## 13. როგორ აპირებთ უპატრონო ცხოველების საკითხის მოგვარებას?

საკითხი საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას როგორც თავშესაფრების უზრუნველყოფის, ისე, ზოგადად, თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით.

### *კულტურა და განათლება*

## 14. როგორია თქვენი ხედვა თბილისის კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით?

- მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს კულტურის სფეროს მიმართ სახელმწიფოებრივი ხედვა.
- აუცილებელია ხელოვნების დარგებში დაგროვილი პოტენციალისა და რესურსების ეფექტიანად გამოყენება. ინოვაციებისა და კონკურენციის ხელშეწყობით, უნდა გადავდგათ ნაბიჯი კულტურის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისა და გლობალურ ტენდენციებთან დაახლოების მიმართულებით.
- ქართული კულტურა, როგორც ქართული თვითმყოფადობის გამოხატულება, უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის საერთაშორისო პოპულარიზაციისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის.
- განსაკუთრებით საყურადღებოა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი, მათ შორის, ტურისტულ პოტენციალში ჩართვის თვალსაზრისით. ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, ცოდნა და ინფორმაცია კულტურაში არსებულ მდგომარეობაზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფართო საზოგადოებისთვის.
- მნიშვნელოვანია მუზეუმებისა და სხვა სოციალურ-კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია, რაც თბილისის კულტურულ და ტურისტულ შესაძლებლობებში მათ აქტიურ ჩართვას უზრუნველყოფს.

**15. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რას მოიმოქმედებთ თბილისში განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად?**

- კომპეტენციის შესაბამისად, მნიშვნელოვანია თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ხარისხიანი და შეუზღუდავი წვდომა.
- ამ მხრივ, პრიორიტეტულია საბავშვო ბაღები პრინციპით - “არცერთი ბავშვი ბაღის გარეშე.” მომდევნო 4 წლის განმავლობაში ჩვენი მიზანია ბაღების რაოდენობის ზრდა, მათ შორის, საჯარო-კერძო თანამშრომლობის მოდელის დანერგვით.
- ასევე, ძალზედ მნიშვნელოვანია ურბანულად სწრაფად მზარდ რაიონებში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის, მათ შორის, სკოლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

*უსაფრთხოება და კრიმინალი*

**16. რა ღონისძიებებს გაატარებთ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალის პრევენციისთვის?**

ჩვენი მიზანია:

- განხორციელდეს თავისუფალი, ხარისხიანი და სამართლიანი მართლმსაჯულება, რომელიც თავისუფალია გავლენებისა და კორუფციისგან; ემსახურება ადამიანს, მის საჭიროებებს; უზრუნველყოფს კრიმინალისგან უსაფრთხო გარემოს, სამართლიან პასუხისგებას, ღირსეულ მოპყრობას, დამნაშავეს რეაბილიტაციას და საზოგადოებაში დაბრუნებას; თანაბრად იცავს ყველას;
- უზრუნველვყოთ მართლმსაჯულების სისტემის ყველა რგოლის შეთანხმებული მუშაობა და კრიმინალის წინააღმდეგ თანმიმდევრული და პრევენციული პოლიტიკა.

*ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა*

**17. როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა დედაქალაქში? რა სოციალური პროგრამები განხორციელდება?**

ჩვენი მიზანია სოციალურად უზრუნველყოფილი თბილისი!

1. მიზნობრივი მუნიციპალური ან ადგილობრივი სოციალური დახმარების სქემების შექმნა, რომელიც ჩაანაცვლებს დღეს არსებულ სისტემას და რეალური შემავსებლის ფუნქციას შეასრულებს;
2. ჯანდაცვის პროგრამებისა და მედიკამენტების დაფინანსების მასშტაბის გაზრდა პრიორიტეტული კატეგორიების მიხედვით;
3. “შინმოვლის თანადაფინანსების პროგრამის” გაფართოება და თანადაფინანსების არეალის გაზრდა;
4. თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის რესურსების ზრდა და ინფრასტრუქტურის განახლება;

5. უფასო სასადილოების მუშაობის გაგრძელება და მათი სერვისების ხარისხის გაუმჯობესება;
6. შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული სერვისების დანერგვა და არსებულის გამართვა - ქალაქის ინფრასტრუქტურის ადაპტირება;
7. 170-მდე ნგრევადი საცხოვრებელი სახლის სრული რეაბილიტაცია-განსახლება, იქ მცხოვრებ პირთათვის სიცოცხლისთვის უსაფრთხო, დაცული საცხოვრებელი პირობების შექმნა;
8. “არცერთი ბავშვი ბაღის გარეშე” - მომდევნო 4 წლის განმავლობაში ბაღების რაოდენობის გაზრდა. მათ შორის, საჯარო-კერძო თანამშრომლობის მოდელის დანერგვით.

### **18. რა გზებს მიმართავთ თბილისში ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გაზრდისთვის?**

გაიზრდება ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამები, გაფართოვდება ბენეფიციართა წრე და დაემატება ახალი პრიორიტეტული მიმართულებები.

### **19. რა ღონისძიებებს გეგმავთ ქალაქში მიუსაფართა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად?**

ჩვენი მიზანია:

- მიზნობრივი მუნიციპალური ან ადგილობრივი სოციალური დახმარების სქემების შექმნა, რომელიც ჩაანაცვლებს დღეს არსებულ სისტემას და რეალური შემავსებლის ფუნქციას შეასრულებს;
- ჯანდაცვის პროგრამებისა და მედიკამენტების ხარჯების დაფინანსების მასშტაბის გაზრდა პრიორიტეტული კატეგორიების მიხედვით;
- თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის რესურსების ზრდა და ინფრასტრუქტურის განახლება;
- უფასო სასადილოების ფუნქციონირების გაგრძელება და მათი სერვისების ხარისხის გაუმჯობესება.

### *ეკოლოგია, რეკრეაცია და სპორტი*

### **20. როგორია თქვენი გეგმები და ხედვა თბილისის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით?**

ჩვენი მიზანია ეკოლოგიურად სუფთა და გამწვანებული თბილისი!

1. არსებული სარეკრეაციო სივრცეების მოვლა-პატრონობა;
2. მეტი ახალი სარეკრეაციო სივრცის შექმნა, მათ შორის, ქალაქის ცენტრალური მულტიფუნქციური ზონების განვითარება;
3. მდინარე მტკვრის გასწვრივ საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება.

### **21. რა ღონისძიებებს გაატარებთ თბილისში რეკრეაციული ზონების, პარკების გაფართოებისა და განვითარებისთვის?**

ჩვენი მიზანია ეკოლოგიურად სუფთა და გამწვანებული თბილისი!

1. არსებული სარეკრეაციო სივრცეების მოვლა-პატრონობა;
2. მეტი ახალი სარეკრეაციო სივრცის შექმნა, მათ შორის, ქალაქის ცენტრალური მულტიფუნქციური ზონების განვითარება;
3. მდინარე მტკვრის გასწვრივ საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება.

## 22. რის გაკეთებას აპირებთ სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის და სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად?

- სპორტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, ისე, საზოგადოების ფართო ჩართულობის თვალსაზრისით. განსაკუთრებით, გლობალური პანდემიის პირობებში, როდესაც სპორტულ სივრცეს მნიშვნელოვანი შეზღუდვები შეეხო. აუცილებელია, სახელმწიფო ამ პროცესში დროული, სწრაფი და ეფექტიანი ნაბიჯებით ჩაერთოს;
- მნიშვნელოვანია სპორტული ფედერაციების პოლიტიკური გავლენების განთავისუფლება;
- დღეს მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს წვდომა სათანადო სპორტულ ინფრასტრუქტურაზე, განსაკუთრებით, მუნიციპალიტეტებში. ჩვენი ამოცანაა, სისტემური განახლების პრინციპზე დაყრდნობით, სპორტულ ცხოვრებაში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ჩართულობა გავზარდოთ. აღნიშნული გულისხმობს პროფესიულ კვლევებსა და მიდგომებზე დაფუძნებულ ცვლილებებს სკოლამდელ, საბავშვო პერიოდისა და მასობრივი სპორტის განვითარების პოლიტიკაში;
- მნიშვნელოვანია, სპორტი იქცეს უფრო მიმზიდველ მიმართულებად ინვესტიციისა და კომერციალიზაციისთვის, რისთვისაც საჭიროა კონკრეტული ინიციატივებისა და პროგრამების დანერგვა.

### კულტურული მემკვიდრეობა

## 23. რა ღონისძიებებს მიმართავთ თბილისის ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად?

ჩვენი მიზანია ურბანულად განვითარებული და ხარისხიანი მუნიციპალური სერვისებით უზრუნველყოფილი თბილისი!

1. სამშენებლო ნებართვების გაცემა ქალაქის სწორი ურბანული განვითარებისა და იერსახის შემდგომი დამახინჯების თავიდან აცილების გათვალისწინებით, ბიზნესის ინტერესების და კერძო საკუთრების მკაცრი დაცვის პირობით; ქალაქგეგმარების სტანდარტების მკაცრად დაცვა, კორუფციის აღმოფხვრის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა, მეტი პრიორიტეტი სარეკრეაციო სივრცეებს;
2. ისეთი მასშტაბური პროექტების დაგეგმარებისას, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კონკრეტული უბნის მოსახლეობის ყოველდღიურობაზე, მათ სატრანსპორტო



გადაადგილებასა თუ სხვა ფაქტორებზე, სპეციალისტებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნესის ჩართულობა და მათი ინტერესების გათვალისწინება;

3. ავლარის, სოლოლაკის და სხვა ისტორიული უბნების მასშტაბური რეაბილიტაცია-განახლება კერძო სექტორის ჩართულობით;
4. ქალაქის ურბანული იერსახის გაუმჯობესებისა და მოქალაქეების მხარდაჭერის მიზნით, თბილისში არსებული დაუმთავრებელი მშენებარე ობიექტების დასრულება, კერძო სექტორის ჩართულობითა და რიგ შემთხვევაში, სახელმწიფოსა და ბენეფიციართა შორის სხვადასხვაგვარი თანამშრომლობით.

## 24. რას ფიქრობთ ხელოვნების მუზეუმის შესაძლო დანგრევასთან დაკავშირებით?

აღნიშნული მიუღებელია!

### სხვა საკითხები

**25. 2021 წლის ივლისში განხორციელდა მასშტაბური ძალადობა ლგბტქი+ თემისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ. როგორია ამ საკითხზე თქვენი, როგორც მერობის კანდიდატის პოზიცია?**

ძალადობა მიუღებელია. სახელმწიფოს ვალდებულებაა, არ დაუშვას ძალადობა, უზრუნველყოს როგორც გამოხატვის თავისუფლება, ისე, ადამიანების უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი.

**26. მერობის შემთხვევაში, თქვენი კომპეტენციისა და პოლიტიკური როლის გათვალისწინებით, როგორ შეუწყობთ ხელს აზრის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებების დაცვასა და თავისუფლებას?**

ვიმოქმედებთ კანონის შესაბამისად.

**27. რა ღონისძიებებს გეგმავთ დაუსრულებელი მშენებლობების, ავარიული შენობა-ნაგებობების პრობლემების რეგულირებისთვის?**

ჩვენი მიზანია:

1. ქალაქის ურბანული იერსახის გაუმჯობესებისა და მოქალაქეების მხარდაჭერის მიზნით, თბილისში არსებული დაუმთავრებელი მშენებარე ობიექტების დასრულება, კერძო სექტორის ჩართულობითა და რიგ შემთხვევაში, სახელმწიფოსა და ბენეფიციართა შორის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმით;
2. 170-მდე ნგრევადი საცხოვრებელი სახლის სრული რეაბილიტაცია-განსახლება, იქ მცხოვრებ პირთათვის სიცოცხლისთვის უსაფრთხო, დაცული საცხოვრებელი პირობების შექმნა;
3. კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებული მოსახლეობის სრულად უზრუნველყოფა.

**28. როგორია თქვენი პოზიცია თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით?**

ჩვენი მიზანია თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის დასრულება, გამოთავისუფლებული ტერიტორიების სწორი ურბანული განვითარება, ინვესტიორების მოზიდვა.

**29. მდინარე მტკვარი - თბილისის ორგანული ნაწილი, ამ ეტაპზე ნაკლებად ათვისებულია. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება სატრანსპორტო თუ სარეკრეაციო მიზნებისთვის მისი უფრო ეფექტურად გამოყენება?**

ჩვენი მიზანია მდინარე მტკვრის გასწვრივ საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება.